ქალაქ თბილისის
მუნიციპალიტეტის საკრებულო

ნომერი: 12-032531843-03
თარიღი: 14.11.2025 21:00
ვადა: 15.12.2025

განმცხადებელი (დაინტერესებული პირი)

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია
მისამართი: შარტავას ქ. 7ა
საკონტაქტო ინფორმაცია: (+995 32) 2 72 22 22;
განცხადების N: 01-01253182413 განცხადების თარიღი: 14.11.2025
ხელმომწერი: კახა კალაძე თანამდებობა: მერი

განცხადება/ნომენკლატურა

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
თავისუფალი განცხადება

მოთხოვნის ტექსტი

საკითხის განსახილველად წარდგენა

დამატებითი ინფორმაცია

- ფურცლების რაოდენობა: 0
- დანართი: -
- პასუხის გაცემის ფორმა:

ქალაქ თბილისის
მუნიციპალიტეტის საკრებულო
№ 12-032531843-03
14.11.2025 : 21:00
თბილისი, 0114, თავისუფლების მოედანი N2

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი

წერილის ნომერი: **01-01253182413**
თარიღი: **14/11/2025**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
მისამართი: თავისუფლების მოედანი N2

ბატონო ზურაბ,

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 19 ივლისის N2-1 დადგენილებით დამტკიცებული რეგლამენტის 67-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად წარმოგიდგენთ ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქონების მართვის სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 თებერვლის №13-42 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის მოწონების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2025 წლის 12 ნოემბრის N25.1919.2123 განკარგულებასა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს შესაბამისი აქტის პროექტს.

პატივისცემით,

კახა კალაძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

განკარგულება - N 25.1919.2123
12 / ნოემბერი / 2025 წ.

,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქონების მართვის სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 თებერვლის №13-42 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის მოწონების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 75-ე მუხლის „ბ.ა", „ე.თ" და „ე.კ" ქვეპუნქტების საფუძველზე,

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ გადაწყვიტა:

1. მოწონებულ იქნეს ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქონების მართვის სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 თებერვლის №13-42 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი, ამ განკარგულების დანართის შესაბამისად.

2. წინამდებარე განკარგულებით გათვალისწინებული პროექტი წარედგინოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

3. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის პირველ მოადგილეს (ვიცე-მერი) გიორგი ტყემალაძეს.

4. ამ განკარგულების გასაჩივრება, დაინტერესებული მხარის მიერ, შესაძლებელია მისთვის განკარგულების გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი — კახა კალაძე

<u>პროექტი</u>

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
დადგენილება №-----

2025 წლის ------ **ქ. თბილისი**

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქონების მართვის სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 თებერვლის №13-42 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად,

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1.

შევიდეს ცვლილება **„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქონების მართვის სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 თებერვლის №13-42 დადგენილებაში** (სსმ ვებგვერდი: www.matsne.gov.ge, გამოქვეყნების თარიღი: 21/02/2018, სარეგიტრაციო კოდი: 010260050.35.101.016490) და ამ დადგენილებით დამტკიცებული „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქონების მართვის სააგენტოს დებულების:“

1. **მე-8 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„მუხლი 8. სამსახურის ხელმძღვანელის უფლებამოსილებები

1. სამსახურს ხელმძღვანელობს სამსახურის უფროსი, რომელსაც მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად, თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს სააგენტოს უფროსი.
2. სამსახურის უფროსი ანგარიშვალდებულია სააგენტოს უფროსის წინაშე.
3. სამსახურის უფროსს ჰყავს მოადგილე/მოადგილეები, რომლებსაც თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს სააგენტოს უფროსი.
4. სამსახურის უფროსის მოადგილე/მოადგილეები ანგარიშვალდებულნი არიან სამსახურის უფროსის წინაშე.
5. სამსახურის უფროსის არყოფნის ან მის მიერ უფლებამოსილების განხორციელების შეუძლებლობის პერიოდში, სამსახურის უფროსის მოვალეობას, სააგენტოს უფროსის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე, ასრულებს სამსახურის უფროსის მოადგილე.
6. სამსახურის უფროსი:
   ა) ხელმძღვანელობს და წარმართავს სამსახურის საქმიანობას;
   ბ) წარმოადგენს სამსახურს დაკისრებული ფუნქციებისა და ამოცანების განხორციელებისას;
   გ) ანაწილებს მოვალეობებს სამსახურის თანამშრომლებს შორის და აძლევს მათ შესაბამის მითითებებს;
   დ) სამსახურის სახელით ვიზას ადებს სამსახურში მომზადებულ დოკუმენტაციას;

ე) სამსახურის სახელით ვიზას ადებს/ხელს აწერს სააგენტოს სხვა სტრუქტურულ ქვედანაყოფებთან გასაგზავნ ან/და სააგენტოს უფროსის დავალებით უფლებამოსილების გათვალისწინებით სხვა დოკუმენტებს;
ვ) ასრულებს სააგენტოს დებულებითა და სხვა სამართლებრივი აქტებით განსაზღვრულ ფუნქციებს, აგრეთვე, სააგენტოს უფროსის/კურატორი მოადგილის ცალკეულ დავალებებს."

2. მე-8 მუხლის შემდეგ დაემატოს მე-8[1] მუხლი შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 8[1]. სამსახურის ხელმძღვანელის მოადგილის უფლებამოსილებები:

სამსახურის ხელმძღვანელის მოადგილე:

ა) სამსახურის ხელმძღვანელის დავალების საფუძველზე, კოორდინაციას უწევს სააგენტოს სტრუქტურული ერთეულების საქმიანობას;
ბ) ასრულებს სამსახურის ხელმძღვანელის ცალკეულ დავალებებს;
გ) სამსახურის ხელმძღვანელის დავალებით ვიზას ადებს/ხელს აწერს სამსახურში მომზადებულ დოკუმენტაციას, მათ შორის, სააგენტოს სხვა სტრუქტურულ ქვედანაყოფებთან გასაგზავნ ან/და სააგენტოს უფროსის დავალებით უფლებამოსილების გათვალისწინებით სხვა დოკუმენტებს;
დ) სამსახურის ხელმძღვანელის დავალებით ანაწილებს სამსახურში შემოსულ კორესპონდენციას შესაბამის თანამშრომლებზე;
ე) ასრულებს სააგენტოს დებულებითა და სხვა სამართლებრივი აქტებით განსაზღვრულ ფუნქციებს, აგრეთვე, სააგენტოს უფროსის/კურატორი მოადგილის ცალკეულ დავალებებს."

მუხლი 2.
დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

<u>პროექტი</u>

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
დადგენილება №-----

2025 წლის ------ **ქ. თბილისი**

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქონების მართვის სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 თებერვლის №13-42 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად,

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1.

შევიდეს ცვლილება **„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქონების მართვის სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 თებერვლის №13-42 დადგენილებაში** (სსმ ვებგვერდი: www.matsne.gov.ge, გამოქვეყნების თარიღი: 21/02/2018, სარეგიტრაციო კოდი: 010260050.35.101.016490) და ამ დადგენილებით დამტკიცებული „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქონების მართვის სააგენტოს დებულების:“

1. **მე-8 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„მუხლი 8. სამსახურის ხელმძღვანელის უფლებამოსილებები

1. სამსახურს ხელმძღვანელობს სამსახურის უფროსი, რომელსაც მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად, თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს სააგენტოს უფროსი.
2. სამსახურის უფროსი ანგარიშვალდებულია სააგენტოს უფროსის წინაშე.
3. სამსახურის უფროსს ჰყავს მოადგილე/მოადგილეები, რომლებსაც თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს სააგენტოს უფროსი.
4. სამსახურის უფროსის მოადგილე/მოადგილეები ანგარიშვალდებულნი არიან სამსახურის უფროსის წინაშე.
5. სამსახურის უფროსის არყოფნის ან მის მიერ უფლებამოსილების განხორციელების შეუძლებლობის პერიოდში, სამსახურის უფროსის მოვალეობას, სააგენტოს უფროსის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე, ასრულებს სამსახურის უფროსის მოადგილე.
6. სამსახურის უფროსი:
   ა) ხელმძღვანელობს და წარმართავს სამსახურის საქმიანობას;
   ბ) წარმოადგენს სამსახურს დაკისრებული ფუნქციებისა და ამოცანების განხორციელებისას;
   გ) ანაწილებს მოვალეობებს სამსახურის თანამშრომლებს შორის და აძლევს მათ შესაბამის მითითებებს;
   დ) სამსახურის სახელით ვიზას ადებს სამსახურში მომზადებულ დოკუმენტაციას;

ე) სამსახურის სახელით ვიზას ადებს/ხელს აწერს სააგენტოს სხვა სტრუქტურულ ქვედანაყოფებთან გასაგზავნ ან/და სააგენტოს უფროსის დავალებით უფლებამოსილების გათვალისწინებით სხვა დოკუმენტებს;
ვ) ასრულებს სააგენტოს დებულებითა და სხვა სამართლებრივი აქტებით განსაზღვრულ ფუნქციებს, აგრეთვე, სააგენტოს უფროსის/კურატორი მოადგილის ცალკეულ დავალებებს.“

2. მე-8 მუხლის შემდეგ დაემატოს მე-8[1] მუხლი შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 8[1]. სამსახურის ხელმძღვანელის მოადგილის უფლებამოსილებები:

სამსახურის ხელმძღვანელის მოადგილე:

ა) სამსახურის ხელმძღვანელის დავალების საფუძველზე, კოორდინაციას უწევს სააგენტოს სტრუქტურული ერთეულების საქმიანობას;
ბ) ასრულებს სამსახურის ხელმძღვანელის ცალკეულ დავალებებს;
გ) სამსახურის ხელმძღვანელის დავალებით ვიზას ადებს/ხელს აწერს სამსახურში მომზადებულ დოკუმენტაციას, მათ შორის, სააგენტოს სხვა სტრუქტურულ ქვედანაყოფებთან გასაგზავნ ან/და სააგენტოს უფროსის დავალებით უფლებამოსილების გათვალისწინებით სხვა დოკუმენტებს;
დ) სამსახურის ხელმძღვანელის დავალებით ანაწილებს სამსახურში შემოსულ კორესპონდენციას შესაბამის თანამშრომლებზე;
ე) ასრულებს სააგენტოს დებულებითა და სხვა სამართლებრივი აქტებით განსაზღვრულ ფუნქციებს, აგრეთვე, სააგენტოს უფროსის/კურატორი მოადგილის ცალკეულ დავალებებს.“

მუხლი 2.
დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქონების მართვის სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 თებერვლის №13-42 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის

განმარტებითი ბარათი

ა) პროექტის მიღების (გამოცემის) მიზეზი/ძირითადი დამახასიათებელი ნიშნები:

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქონების მართვის სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 თებერვლის №13-42 დადგენილებით დამტკიცებული „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქონების მართვის სააგენტოს დებულების" (შემდგომში - **„დებულება"**) თანახმად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს (შემდგომში - **„სააგენტო"**) ხელმძღვანელობს სააგენტოს უფროსი, რომელსაც ჰყავს მოადგილეები. ამასთან, სააგენტო თავის უფლებამოსილებებს ახორციელებს სტრუქტურული ერთეულების - სამსახურების მეშვეობით. სააგენტოს სტრუქტურული ერთეულებია:

- *ადამიანური რესურსების მართვისა და ორგანიზაციული უზრუნველყოფის სამსახური;*
- *საფინანსო და მომსახურების სამსახური;*
- *ქონების მართვისა და განკარგვის სამსახური;*
- *ქონების აღრიცხვისა და მონიტორინგის სამსახური;*
- *ქალაქგეგმარებისა და მიწის ნაკვეთების საზღვრების მომზადების სამსახური;*
- *უძრავი ქონების მონაცვლეობის საკითხების განმხილველი სამსახური;*
- *სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახური;*
- *საჯარო ინფორმაციის გაცემისა და სასამართლოსთან წარმომადგენლობის უზრუნველყოფის სამსახური;*
- *საინვესტიციო პროექტების მართვისა და ხელშეკრულებების მონიტორინგის სამსახური.*

სააგენტოს ზემოაღნიშნულ სამსახურებს ხელმძღვანელობენ და მათ საქმიანობას წარმართვენ სამსახურების უფროსები, რომლებიც წარმოადგენენ სამსახურს დაკისრებული ფუნქციებისა და ამოცანების განხორციელებისას, ანაწილებენ მოვალეობებს სამსახურის თანამშრომლებს შორის და აძლევენ მათ შესაბამის მითითებებს, სამსახურის სახელით ვიზას ადებენ სამსახურში მომზადებულ დოკუმენტაციას, სამსახურის სახელით ვიზას ადებენ/ხელს აწერენ სააგენტოს სხვა სტრუქტურულ ქვედანაყოფებთან გასაგზავნ ან/და სააგენტოს უფროსის დავალებით უფლებამოსილების გათვალისწინებით სხვა დოკუმენტებს და ასრულებენ სააგენტოს დებულებითა და სხვა სამართლებრივი აქტებით განსაზღვრულ ფუნქციებს, აგრეთვე, სააგენტოს უფროსის/კურატორი მოადგილის ცალკეულ დავალებებს.

ვინაიდან, სააგენტოს უფლებამოსილებებიდან გამომომდინარე, მიმდინარე საკითხების/წარმოებების რაოდენობა ძალიან მაღალია და ცალკეული სამსახურების მიხედვით, სამსახურის უფროსებს უწევთ აღნიშნული საკითხების კურირება, შესაბამის თანამშრომლებზე განაწილება და ასევე, უშუალოდ შესრულებაზე კონტროლი, რაც მოითხოვს ძალიან მაღალ სამუშაო დატვირთვას, მიზანშეწონილია სამსახურის უფროსს ჰყავდეს სამსახურის უფროსის მოადგილე, რომელიც სამსახურის უფროსის დავალების საფუძველზე გაინაწილებს იმ უფლებამოსილებებს, რაც აკისრია

სამსახურის უფროსს და ასევე, სამსახურის უფროსის მოადგილის ადამიანურ რესურსს გამოიყენებს სამსახურის იმ უფლებამოსილებებთან მიმართებით, სადაც ყველაზე მეტი დატვირთვა მოდის. გარდა ამისა, არსებული სტრუქტურის მიხედვით, სამსახურის უფროსის არყოფნის (შვებულება ან/და საავადმყოფო ფურცელზე ყოფნა) შემთხვევაში, მას არ ჰყავს უფლებამონაცვლე, რომელიც დროებით შეასრულებს მის ფუნქციებს. შესაბამისად, ასეთ შემთხვევაში სამსახურის უფროსის მოადგილე შეასრულებს მის უფლებამოსილებებს, რაც დადებითად აისახება სააგენტოს საქმიანობაზე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სათანადო ცვლილება შედის დებულებაში. კერძოდ, დებულების მე-8 მუხლში გათვალისწინებული იქნება სააგენტოს სამსახურის უფროსის მოადგილის თანამდებობა, ხოლო მე-8[1] მუხლში გაიწერება მისი უფლებამოსილებები.

ამდენად, მითითებული ცვლილება სააგენტოს საშუალებას მისცემს თავისი ფუნქციები უფრო ეფექტიანად განახორციელოს და მოქალაქეებს ინოვაციური სერვისები შესთავაზოს. შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობა იწონებს და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს შესათანხმებლად წარუდგენს „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქონების მართვის სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 თებერვლის №13-42 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტს.

ბ) პროექტის ფინანსურ–ეკონომიკური დასაბუთება:
პროექტის მიღება არ გამოიწვევს დამატებითი თანხების გამოყოფას ბიუჯეტიდან.

გ) ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე ზეგავლენის შეფასება, რასაც გამოიწვევს პროექტის მიღება (გამოცემა):
დადგენილების ამოქმედება არ მოახდენს ზეგავლენას ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობაზე.

დ) გენდერული თანასწორობის მდგომარეობაზე მოსალოდნელი ზეგავლენის შეფასება:

სამართლებრივი აქტის პროექტი არ ახდენს ზეგავლენას გენდერული თანასწორობის მდგომარეობაზე.

ე) პროექტის ავტორი:
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია.

ვ) პროექტის წარმდგენი:
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი.